

რეგისტრირებულია  
ქ. თბილისის საბურთალოს  
რაიონის სასამართლოს მიერ

საქართველოს მათემატიკოსთა კავშირის  
წესდება

## I. ზოგადი დებულებანი

- 1.1. საქართველოს მათემატიკოსთა კავშირი (შემდგომში – კავშირი) არის დამოუკიდებელი საზოგადოებრივი ორგანიზაცია, რომელიც შეიქმნა 1990 წელს 1923 წლიდან არსებულ მათემატიკოსთა საზოგადოების რეორგანიზაციის შედეგად. კავშირი ნებაყოფლობის საფუძველზე აერთიანებს წევრებს და წევრ ორგანიზაციებს. კავშირის წევრი შეიძლება იყოს, როგორც წესი, საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები მათემატიკოსი. წევრი ორგანიზაცია შეიძლება იყოს, როგორც წესი, საქართველოს მათემატიკური პროფილის დაწესებულება და არამათემატიკური პროფილის დაწესებულების მათემატიკური პროფილის ქვედანაყოფი (ფაკულტეტი, კათედრა, ლაბორატორია და სხვა).
- 1.2. კავშირი მოქმედებს საქართველოს კონსტიტუციის, არსებული კანონმდებლობის და საერთაშორისო სამართლებრივი ნორმების დაცვით.
- 1.3. კავშირის მიზანია დადგენილი წესით ხელი შეუწყოს:
  - ა) საქართველოში მათემატიკური განათლების დონის ამაღლებას, წმინდა და გამოყენებითი მათემატიკის დარგების შეთანხმებულ განვითარებას, მათემატიკური მეთოდების სხვა მეცნიერებებში დანერგვას;
  - ბ) მეცნიერული კონტაქტების განვითარებას მსოფლიოს წამყვან მათემატიკურ სამეცნიერო ცენტრებთან, საერთაშორისო კავშირებსა და ეროვნულ კომიტეტებთან მჭიდრო თანამშრომლობის პირობებში;
  - გ) მათემატიკოსთა სამეცნიერო შეკრებების მოწყობას;
  - დ) მათემატიკოსთა საზღვარგარეთ სამუშაოდ ან სამეცნიერო შეკრებებში მონაწილეობის მისაღებად მივლინების ორგანიზებას;
  - ე) სტუდენტთა, ასპირანტთა და სტაჟიორთა საზღვარგარეთ **სასწავლად** გაგზავნის ორგანიზებას. მათთვის როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ სპეციალური სტიპენდიების დანიშვნას;
  - ვ) საქართველოს მათემატიკური ორგანიზაციებისა და მათემატიკოსთა, მათ შორის სტუდენტ-მათემატიკოსთა, ინტერესების და უფლებების დაცვას, როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ;
  - ზ) სახელშეკრულებო საწყისებზე სპეციალური ლიტერატურის, სახელმძღვანელოების, სამეცნიერო ჟურნალების, სამეცნიერო-პოპულარული ლიტერატურის, მათემატიკური ცნობარების ქართულ ენაზე გამოცემას და საქართველოს მათემატიკოსთა შრომების საზღვარგარეთ ან უცხო ენებზე გამოქვეყნებას, აგრეთვე უცხოური მათემატიკური ლიტერატურის საქართველოში შემოტანას;

თ) მათემატიკის დარგში პრემიების დაწესებას.

## II. კავშირის სტრუქტურა

- 2.1. კავშირის უმაღლესი ორგანოა სათათბირო. იგი წარმომადგენლობითია და აირჩევა ოთხი წლის ვადით.
- 2.2. სათათბირო ირჩევს პრეზიდიუმს, ეროვნულ კომიტეტსა და სარევიზიო კომისიას ოთხი წლის ვადით.
- 2.3. კავშირის წევრები სათათბიროში წარმოდგენილი არიან არა უმეტეს 25 წევრით, ხოლო წევრი ორგანიზაციები შემდეგი კვოტით: მათემატიკური პროფილის დაწესებულებები და ფაკულტეტები 11-მდე წევრით, სხვა წევრი ორგანიზაციები – თითო წარმომადგენლით, მაგრამ არა უმეტეს ხუთისა თითოეული დაწესებულებიდან. შესაძლებელია სათათბიროს შევსება კოოპტაციის წესით პრეზიდიუმის წარდგინებით.
- 2.4. კავშირის წევრები სათათბიროში წარმომადგენლებს ირჩევენ კავშირის წევრთა საერთო კრებაზე ან გამოკითხვის წესით (პრეზიდიუმის გადაწყვეტილების შესაბამისად), ხოლო წევრი ორგანიზაციები თავიანთ კოლექტივებში მათ მიერვე შემუშავებული წესით, რომელიც არ ეწინააღმდეგება ამ წესდებას.
- 2.5. კავშირის წევრთა ან წევრი ორგანიზაციის თანამშრომელთა ერთი მესამედის მოთხოვნით, პრეზიდიუმთან შეთანხმებით შეიძლება მოეწყოს კრება, რომელიც განიხილავს სათათბიროდან მათი წარმომადგენლების გამოწვევისა და ვადაზე ადრე არჩევნების ჩატარების საკითხს.
- 2.6. წევრი ორგანიზაციებისაგან სათათბიროში წარმომადგენლებად არჩევისა და თვით არჩევნებში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს მხოლოდ უმაღლესი მათემატიკური განათლების ან მათემატიკური სპეციალობებით სამეცნიერო ხარისხის, წოდების ან ნაშრომების მქონე პირს.
- 2.7. ყველა საკითხი წყდება სათათბიროს სხდომებზე, რომლებიც იკრიბება სამ თვეში ერთხელ მაინც. სხდომებს შორის პერიოდში აუცილებელ შემთხვევებში გადაწყვეტილებებს იღებს სათათბიროს პრეზიდიუმი კონსენსუსის საფუძველზე, რის შესახებაც სავალდებულო წესით მოახსენებს სათათბიროს უახლოეს სხდომას.
- 2.8. სხდომის ჩატარების თარიღი და დღის წესრიგი უნდა ეცნობოს სათათბიროს ყველა წევრს სხდომის ჩატარებამდე ერთი კვირით ადრე მაინც.
- 2.9. სათათბიროს სხდომა უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილებანი ხმების უბრალო უმრავლესობით (საჭიროების შემთხვევაში – გამოკითხვის წესით).

ახლად არჩეული სათათბიროს პირველი სხდომა, რომელზეც ხდება წარმომადგენლების რწმუნებათა დამტკიცება და პრეზიდიუმის და კომიტეტის არჩევა, უფლებამოსილია, თუ მას ესწრება წარმომადგენელთა ნახევარზე მეტი, და გადაწყვეტილება მიღებულად ჩაითვლება, თუ მას ხმას მისცემს სათათბიროს წევრთა უბრალო უმრავლესობა. ამავე წესით ხდება წესდებაში ცვლილებათა შეტანის საკითხისა და იმ შემთხვევის განხილვა, როცა სათათბირო უნდობლობას უცხადებს პრეზიდიუმს, ან კომიტეტს, ან მათ რომელიმე წევრს და ითხოვს ვადაზე ადრე ჩატარდეს მთლიანი ან ნაწილობრივი არჩევნები.

**2.10.** სათათბიროს წევრები ვალდებული არიან სისტემატურად მიაწოდონ ინფორმაცია სათათბიროს მუშაობის შესახებ იმ ორგანიზაციებს, რომლებსაც ისინი წარმოადგენენ სათათბიროში.

**2.11.** სათათბიროს წევრები მუშაობენ ქვემოთ ჩამოთვლილი კომისიებიდან ერთ-ერთში მაინც:

- ა) მათემატიკური განათლებისა და მათემატიკის ისტორიის;
- ბ) მათემატიკის განვითარებისა და მეცნიერული კონტაქტების;
- გ) საგამომცემლო;
- დ) უფლებათა დაცვის;
- ე) საფინანსო;
- ვ) ინფორმაციის;
- ზ) მათემატიკური შეჯიბრებებისა და ნიჭიერ ბავშვებთან მუშაობის.

გარდა აღნიშნული კომისიებისა, სათათბიროს უფლება აქვს შექმნას სხვა მუდმივმოქმედი ან დროებითი კომისიები და საორგანიზაციო კომიტეტები.

**2.12.** საჭიროების შემთხვევაში სათათბირო განიხილავს წესდებაში ცვლილებათა შეტანის საკითხს და იღებს გადაწყვეტილებას ამის თაობაზე. ცვლილებები ძალაში შედის მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

**2.13.** კავშირი ოთხ წელიწადში ერთხელ, საერთაშორისო მათემატიკური კონგრესების ჩატარების წინა წელს, იწვევს სრულიად საქართველოს მათემატიკოსთა ყრილობას. ყრილობას დასკვნით პლენარულ სხდომაზე სათათბირო აწვდის ინფორმაციას მის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ. ყრილობის დამთავრების შემდეგ, ერთი თვის ვადაში, კავშირის წევრები და წევრი ორგანიზაციები ატარებენ არჩევნებს სათათბიროს ახალი შემადგენლობის არჩევის მიზნით. არჩევნების წინ ორგანიზაციის წარმომადგენელი სათათბიროს წევრები ანგარიშს აბარებენ ამომრჩევლებს სათათბიროს მიერ გაწეული მუშაობისა და მასში მათი მონაწილეობის შესახებ.

- 2.14.** საქართველოს მათემატიკოსთა ყრილობაზე მათემატიკური ორგანიზაციების დელეგაციათა შემადგენლობას განსაზღვრავენ ორგანიზაციების სამეცნიერო საბჭოები, ან, ამ უკანასკნელთა არარსებობის შემთხვევაში, კოლექტივების კრებები სათათბიროს მიერ დაწესებული ლიმიტების ფარგლებში.
- 2.15.** სამეცნიერო ყრილობის სამეცნიერო და საორგანიზაციო კომიტეტებს და ყრილობის ჩატარების ადგილს ადგენს სათათბირო.
- 2.16.** პრეზიდიუმი არის სათათბიროს გადაწყვეტილებათა აღმასრულებელი ორგანო.
- 2.17.** პრეზიდიუმის შემადგენლობაში შედიან კავშირის პრეზიდენტი, ორი ვიცე-პრეზიდენტი და სწავლული მდივანი, რომლებიც აირჩევიან სათათბიროს მიერ ფარული კენჭისყრით და სასურველია წარმოადგენდნენ სხვადასხვა ორგანიზაციას; აგრეთვე სათათბიროს კომისიათა თავმჯდომარეები, რომლებიც აირჩევიან სათათბიროს მიერ ღია კენჭისყრით, და კავშირის ყოფილი პრეზიდენტი.
- 2.18.** სათათბიროს შეუძლია ღია კენჭისყრით აირჩიოს კავშირის საპატიო პრეზიდენტი და კავშირის საპატიო წევრები.
- 2.19.** საქართველოს მათემატიკოსთა ეროვნული კომიტეტი (შემდგომში – კომიტეტი) იქმნება საერთაშორისო მათემატიკური კავშირის წესდების შესაბამისად. იგი კავშირის მრჩეველია საერთაშორისო საკითხებში და მხოლოდ იგი წარმოადგენს საქართველოს საერთაშორისო მათემატიკურ კავშირში.
- 2.20.** კომიტეტის შემადგენლობაში შედიან: თავმჯდომარე, ორი მოადგილე და სწავლული მდივანი, რომლებიც აირჩევიან სათათბიროს მიერ ფარული კენჭისყრით და სასურველია წარმოადგენდნენ სხვადასხვა ორგანიზაციებს, აგრეთვე ხუთი თავისუფალი წევრი, რომლებიც აირჩევიან სათათბიროს მიერ ღია კენჭისყრით.
- 2.21.** პრეზიდიუმი და კომიტეტი ექვს თვეში ერთხელ აბარებენ სათათბიროს ანგარიშს მათ მიერ გაწეული მუშაობის შესახებ.
- 2.22.** კავშირის პრეზიდენტის და კომიტეტის თავმჯდომარის არჩევა დასაშვებია მხოლოდ ორი ვადით, ამასთან სასურველია ისინი არ იყვნენ დაწესებულებათა ხელმძღვანელები.
- 2.23.** სასურველი არაა კავშირის პრეზიდენტობისა და კომიტეტის თავმჯდომარეობის შეთავსება.
- 2.24.** სათათბირო ღია კენჭისყრით ირჩევს სარევიზიო კომისიას ხუთი წევრის შემადგენლობით.
- 2.25.** სარევიზიო კომისიის მოვალეობაა კონტროლი გაუწიოს კავშირის საფინანსო-სამეურნეო საქმიანობას. იგი ანგარიშვალდებულია სათათბიროს წინაშე და

სისტემატურად აწვდის მას ინფორმაციას კავშირის საფინანსო-სამეურნეო მდგომარეობის შესახებ.

- 2.26.** სარევიზიო კომისიის წევრები არ უნდა შედიოდნენ პრეზიდიუმისა და კომიტეტის შემადგენლობაში.
- 2.27.** სათათბიროს, პრეზიდიუმის, კომიტეტის ან სარევიზიო კომისიის რომელიმე წევრის შემადგენლობიდან რაიმე მიზეზით გამოსვლის შემთხვევაში ეწეობა დამატებითი არჩევნები (ვაკანსიების მიხედვით) ზემოაღნიშნული წესების შესაბამისად.
- 2.28.** საქართველოს ტერიტორიაზე დასახლებულ პუნქტებში (საჭიროების შემთხვევაში) სათათბიროს გადაწყვეტილებით იქმნება კავშირის ადგილობრივი ორგანიზაციები, რომელთა აღმასრულებელ ორგანოს – გამგეობას ან თავმჯდომარეს და მდივანს ირჩევს ადგილობრივი ორგანიზაცია მის მიერვე განსაზღვრული წესით.
- 2.29.** ადგილობრივი ორგანიზაციები მოქმედებენ ამ წესდების შესაბამისად და ადგილებზე ახორციელებენ სათათბიროს, პრეზიდიუმისა და კომიტეტის გადაწყვეტილებებს, გარდა ამისა, თავიანთი შეხედულებების მიხედვით ეწევიან ადგილებზე მუშაობას კავშირის მიზნების განსახორციელებლად.
- 2.30.** თბილისში მცხოვრებ კავშირის წევრთა მუშაობას წარმართავს უშუალოდ პრეზიდიუმი.
- 2.31.** პრეზიდიუმისა და კომიტეტის ტექნიკური აპარატები იქმნება წევრი ორგანიზაციების ტექნიკურ აპარატებზე დაყრდნობით მათი ურთიერთშეთანხმების საფუძველზე, ან სათათბიროს მიერ დამტკიცებული საშტატო განრიგით. ტექნიკური აპარატის მუშაობას ხელმძღვანელობს შესაბამისი ორგანოს სწავლული მდივანი.

### III. კავშირის წევრები და წევრი ორგანიზაციები

#### 3.1. კავშირის წევრი შეიძლება გახდეს:

ა) პირი, რომელსაც აქვს დასრულებული ან დაუსრულებელი უმაღლესი მათემატიკური განათლება ან სამეცნიერო ხარისხი, წოდება, ნაშრომი მათემატიკური სპეციალობით.

ბ) მათემატიკური სპეციალობის სტუდენტები.

- 3.2.** კავშირის წევრი ორგანიზაცია შეიძლება გახდეს წესდების 1.1. პუნქტში მითითებული ნებისმიერი ორგანიზაცია, რომლის განცხადებაზე, რომ სურს გახდეს კავშირის წევრი ორგანიზაცია, სათათბირო მიიღებს დადებით გადაწყვეტილებას.
- 3.3.** კავშირის წევრებისა და წევრი ორგანიზაციების საწევრო შესატანის ოდენობა განისაზღვრება სათათბიროს მიერ დადგენილი წესით. ამასთან წევრი ორგანი-

ზაციის საწევრო შესატანი განსაზღვრული უნდა იყოს მათ მიერ სათათბიროში ??? პუნქტის შესაბამისად არჩეულ წარმომადგენელთა რიცხვის პროპორციულად.

- 3.4. საწევრო შესატანებს კავშირის წევრები და წევრი ორგანიზაციები გადარიცხავენ კავშირის ანგარიშზე სათათბიროს მიერ განსაზღვრული წესის შესაბამისად.
- 3.5. კავშირის წევრები და წევრი ორგანიზაციები ვალდებული არიან დადგენილი წესით იხდიდნენ საწევრო შესატანს და მონაწილეობდნენ კავშირის საქმიანობაში.
- 3.6. კავშირის წევრი ან წევრი ორგანიზაცია საწევრო შესატანის გადაუხდელობის შემთხვევაში მომდევნო წელს კარგავს გადამწვევტი ხმის უფლებას, ხოლო ორი წლის მანძილზე საწევრო შესატანის გადაუხდელობის შემთხვევაში სათათბირო იხილავს კავშირში მისი ყოფნის საკითხს.
- 3.7. კავშირიდან გასულ წევრს ან წევრ ორგანიზაციას, გასვლის შემდეგ არა უადრეს ერთი წლისა, შეუძლია კვლავ გახდეს კავშირის წევრი საერთო წესით.
- 3.8. კავშირის წევრობის მსურველის განცხადებას განიხილავს სათათბირო. კავშირის წევრებს აქვთ შეუზღუდავი უფლება დასახელებულ იქნენ კანდიდატებად ან დაასახელონ კანდიდატურები სათათბიროში ასარჩევად და მიიღონ მონაწილეობა გადამწვევტი ხმის უფლებით სათათბიროში წარმომადგენელთა კრებაზე, **თუ ფოსტით (პრეზიდუმისა და ადგილობრივი ორგანიზაციების გადაწყვეტილებით არჩევნებში).**
- 3.9. საარჩევნო კრებებზე კენჭისყრის ფორმის (ღია, ფარული) თაობაზე გადაწყვეტილებას იღებენ თვით კრების მონაწილენი, ამასთან კრება უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილებანი კრების მუშაობაში მონაწილეობის უფლების მქონე პირთა უბრალო უმრავლესობით (საჭიროების შემთხვევაში – გამოკითხვის წესით).
- 3.10. კავშირის წევრებისაგან ასარჩევ კანდიდატურათა სიას და კენჭისყრის შედეგებს აჯამებს და ამტკიცებს პრეზიდუმი.
- 3.11. კავშირის წევრს და წევრ ორგანიზაციას ეძლევა შესაბამისი მოწმობა.

#### IV. კავშირის იურიდიული სტატუსი

- 4.1. კავშირი არის იურიდიული პირი, აქვს საანგარიშსწორებო ანგარიში (მათ შორის საგალუტო), შტამპი, ბეჭედი და სხვა ატრიბუტიკა.

#### V. კავშირის ფინანსები

- 5.1. კავშირი დამოუკიდებლად მოიპოვებს და განკარგავს თავის მატერიალურ და ფინანსურ სახსრებს.

- 5.2. კავშირის ფულადი სახსრები შედგება საწევრო გადასახადებისაგან, შემოწირულობებისაგან, ღონისძიებათა ჩატარების შედეგად მიღებული შემოსავლებისაგან, კავშირთან არსებული ფირმების მოგებისა და სხვა სახის შემოსავლისაგან.
- 5.3. კავშირის ფინანსურ საკითხებს განაგებს პრეზიდენტი და ერთ-ერთი ვიცე-პრეზიდენტი – ხაზინადარი.
- 5.4. კავშირის ბიუჯეტს (ეროვნული კომიტეტისათვის ცალკე მუხლით) ყოველწლიურად ამტკიცებს სათათბირო.

## VI. კავშირის ადგილსამყოფელი

- 6.1. კავშირის იურიდიული მისამართია: ქალაქი თბილისი, 43, უნივერსიტეტის ქ. №2. ყოველი არჩევნების შემდეგ კავშირის პრეზიდენტი განსაზღვრავს თავის ადგილსამყოფელს.

## VII. კავშირის სიმბოლიკა

- 7.1. კავშირს აქვს საკუთარი სიმბოლიკა (გერბი, სამკერდე ნიშანი და სხვა), რომელიც დამზადდება სათათბიროს გადაწყვეტილებით.

## VIII. კავშირის ლიკვიდაცია

- 8.1. კავშირის ლიკვიდაციის საკითხს წყვეტს კავშირის სათათბირო მის წევრთა სამი მეოთხედის თანხმობით.
- 8.2. ლიკვიდაციის შემდეგ დარჩენილი ქონება ნაწილდება საქართველოში მოქმედი სამოქალაქო კანონმდებლობის შესაბამისად.